



შინაარსი

1	ნორმატიული ბაზა	3
2	გამოყენებული ტერმინებისა და შემოკლებების განმარტებები	3
3	ძირითადი დებულებები	4
4	სისტემური ცვლილებები	4
5	მომხმარებელთა დაკმაყოფილების მაჩვენებელი	8
6	სისტემის გაუმჯობესება	10
6.1.	პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება	10
6.2.	სასწავლო რესურსების მოდერნიზაცია	10
6.3.	საერთაშორისო აღიარება	13
6.4	საერთაშორისო კავშირები	8
6.5	შიდა საინფორმაციო პორტალი	10
6.6	ახალი და განახლებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია	11
6.7	საბიბლიოთეკო ფონდის გაუმჯობესება	12
7	ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შიდა აუდიტი შედეგები	
8	ხარისხის მენეჯმენტის სისტემის გარე უდიტის შედეგები	
8.1.	სასერტიფიკაციო ორგანო	20
8.2.	მარეგულირებელი ორგანო	20
8.3.	აკრედიტაციის ორგანო	20
9	მიზნების ხარისხის სფეროში შესრულების მაჩვენებელი	
10	რეკომენდაციები სისტემის სრულყოფისათვის	21
11	გავრცელების არე	22



1. ნორმატიული ბაზა

1. ხარისხის სახელმძღვანელო ND 2– Q03;
2. დოკუმენტების მართვის პროცედურა ND 2–Q04–01;
3. ჩანაწერების მართვის პროცედურა ND 2–Q04–02;
4. შიდა აუდიტის ჩატარების პროცედურა ND 2–Q04–03;
5. შეუსაბამობების მართვის პროცედურა ND 2–Q04–04;
6. მომსახურების მონიტორინგის პროცედურა ND 2–Q05–08;
7. იდენტიფიკაციის პროცედურა ND 2–Q05–09;
8. ტერმინები, განმარტებები და შემოკლებები ND 2–Q05–03.

2. გამოყენებული ტერმინებისა და შემოკლებების განმარტებები

2.1. განმარტებები ტერმინები

1. პროცესი-რესურსებისა და საქმიანობის ურთიერთდაკავშირებული ერთობლიობა, რომელიც მიწოდებულ საწყის მოცემულობას (შემავალს) გარდაქმნის საბოლოო პროდუქტად (გამოსასვლელად);
2. რესურსი-ყველაფერი რაც უზრუნველყოფს ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მუშაობას (მიეკუთვნება პერსონალი, მომსახურება, მოწყობილობები, დროის რესურსები, ტექნოლოგია და მეთოდოლოგია.);
3. ნორმატიული დოკუმენტი-შესაბამის მატარებელზე განთავსებული ინფორმაცია, რომელიც ადგენს წესებს, საერთო პრინციპებსა და მახასიათებლებს მოღვაწეობის გარკვეული სფეროსათვის;
4. პერიოდული შემოწმება-არის ქმედება, რომელიც ითვალისწინებს ნორმატიული დოკუმენტის გადამოწმებას მასში შესაძლო ცვლილებების შეტანის მიზნით;

2.2 შემოკლებები

ND – ნორმატიული დოკუმენტი;

აკადემია – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია;

ISO – სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;



3. ძირითადი დებულებები

3.1. ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ანალიზის ანგარიშის განხილვა ჩატარდა საზღვაო აკადემიის სენატის სხდომაზე 2018 წლის 22 იანვარს. სხდომას ესწრებოდნენ სენატის წევრები და ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

3.2. ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სენატის სხდომაზე წარმოდგენილ იქნა შემდეგი მონაცემები:

1. სერტიფიცირების ორგანოს მიერ ჩატარებული გარე შემოწმების მასალები;
2. აკადემიის ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შიდა შემოწმების მასალები;
3. მომხმარებელის კმაყოფილების დამადასტურებელი მასალები;
4. პროცესების შესრულებისა და მათი შესაბამისობის დადასტურება;
5. მონაცემები შიდა და გარე აუდიტების მაკორექტირებელი და გამაფრთხილებელი ქმედებების სტატუსების შესახებ;
6. მონაცემები წინმსწრები სისტემური ანალიზის სტატუსის შესახებ;
7. მასალები სისტემური ცვლილების შესახებ;
8. გაუმჯობესების რეკომენდაციები.

4. სისტემური ცვლილებები

საანგარიშო პერიოდში განხილვილდა ძირეული ცვლილებები, რომელიც დაკავშირებული იყო ახალი ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

არსებული მდგომარეობის შეფასების საფუძველზე ჩამოყალიბდა ახალ სტანდარტზე გადასლის სამოქმედო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფდა საზღვაო აკადემიის თანამშრომელთა სრულ ჩართულობას.

საზღვაო აკადემიის ავტორიზაციის მზადების პროცესი დაიწყო ახალი სტანდარტების დამტკიცების დღიდან. პირველ ეტაპზე, არსებული მდგომარეობის ანალიზის მიზნით შეიქმნა 7 სამუშაო ჯგუფი, რომელთაც დაევალათ ავტორიზაციის სტანდარტებთან აკადემიის მარეგულირებელი დოკუმენტების ჰარმონიზაციის უზრუნველყოფა. აკადემიის სენატის 2017 წლის 30 ნოემბრის №13/6 გადაწყვეტილებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში სტანდარტების შინაარსის გათვალისწინებით შეყვანილ იქნა სათანადო კომპეტენციისა და ფუნქციური მოვალეობების მქონე პირები, ადმინისტრაციული თანამდებობის პირები (მათ შორის



მართვის ორგანოებიდან), აკადემიური თანამდებობის პირები, სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები და სტუდენტები.

სამუშაო ჯგუფი ეტაპობრივად ახორციელებდა მოქმედი წესების, რეგულაციების, ფუნდამენტალური, ორგანიზაციული და ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების და დებულებების ანალიზს. ახალი სტანდარტის მოთხოვნების დაკმაყოფილების კუთხით გამოვლენილია მოქმედ რეგულაციებში არსებული ხარვეზები და გამოიკვეთა ახალი რეგულაციების შემუშავების აუცილებლობა. შემუშავდა ახალი პროცედურების პროექტები.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სასწავლო პროცესის მართვის, საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის და განხორციელების, ცალკეული მექანიზმების სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევის წესებს, რომლებიც მანამდე ხორციელდებოდა, როგორც დამკვიდრებული პრაქტიკა და არ გააჩნდა მკაფიოდ განსაზღვრული რეგულაციები. მომზადებული პროექტები დამტკიცებულ იქნა სენატის მიერ.

განახლდა 20 სექტემბერს დამტკიცებული 2017-2023 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, ჩამოყალიბდა აკადემიის ხედვის, მისიის, ღირებულებების და პასუხისმგებლობების ახალი ინტერპრეტაცია.

საზღვაო აკადემიის მინიმალურ მოთხოვნებს შორის გაჩნდა ასპექტები, რომლებიც არ იყო მანამდე სავალდებულო და გასათვალისწინებელი, სტრატეგიული განვითარების გეგმაში, დაწესებულებები ავტონომიურად განსაზღვრავდნენ საკუთარი განვითარების პრიორიტეტებს. აუცილებელი გახდა ისეთი ასპექტების გათვალისწინება, როგორცაა: უსდ-ის სტრატეგიული განვითარების ინსტრუმენტები, მექანიზმი, შესრულებაზე კონტროლი, ორგანიზაციის სტრუქტურა და მისი შესაბამისობა მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები, სტატუსის შესაბამისი კვლევითი საქმიანობა და სხვა.

აქედან გამომდინარე, რექტორის 2017 წლის 21 ნოემბრის „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ №01-80 რექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელდა 2017-2023 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის ანალიზი, ხარვეზების იდენტიფიცირება და ახალი იდეების, მიმართულებების დადგენა, რაც აისახა განახლებულ 2018-2024 წლების სტრატეგიულ გეგმაში.

სტრატეგიული გეგმის რეალიზაციის მიზნით შემუშავდა 3 წლიანი (2018-2020 წლები) სამოქმედო გეგმა, რომელშიც მკაფიოდ განისაზღვრა პრიორიტეტები, ამოცანები, მათი შესრულების ვადები და პასუხისმგებელი სტრუქტურულ ერთეულები/პირები.



აღნიშნული პროცესის ეფექტიანი მართვის უზრუნველსაყოფად, 2017 წლის 30 ნოემბრის სენატის №13/6 გადაწყვეტილებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა გადაამუშავა 2012 წლის 7 სექტემბრის სტრატეგიული გეგმის შედგენის ინსტრუქცია, გაითვალისწინა შესრულებაზე კონტრილის ხარვეზები, სუსტი მხარეები და შეიმუშავა განვითარების სტრატეგიული გეგმის შედგენის ახალი მეთოდოლოგია, რომელშიც ასახული იქნა ყველა ის ელემენტი, რომელიც ხელს შეუწყობს სტრატეგიული გეგმის სრულყოფილად შესრულების მონიტორინგს, კონტროლს და შეფასებას. აღნიშნული მეთოდოლოგიით აღმოიფხვრა ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი, რომელიც ეხება სტრატეგიული გეგმის შედგენის პრაქტიკას აკადემიაში. სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე მუშაობდნენ არა მხოლოდ ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის პირები არამედ უზრუნველყოფილი იყოს სრული ჩართულობა: პერსონალი, სტუდენტები, სტუდენტური თვითმმართველობა, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პროფესიული კავშირები, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანიზაციები და სხვა. სტრატეგიული განვითარების გეგმა განხილვის პროცესშია. შეჯერებული ვერსია დამტკიცდება უახლოესი სენატის სხდომაზე.

საზღვაო აკადემიის მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით მომზადდა რეორგანიზაციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ორგანიზაციული სტრუქტურის განახლებას, არსებული სტრუქტურული ერთეულების გამსხვილებას და ახალი სტრუქტურული ერთეულების ჩამოყალიბებას. შესაბამისად შემუშავდება ახალი სტრუქტურული ერთეულების (სამსახურები/დეპარტამენტები) დებულებები.

მოქმედი სტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს სტუდენტების მომსახურების სრულ დაფარვას, კარიერული განვითარების ხელშეწყობას, ინტერნაციონალიზაციის ინსტიტუციურ მართვას, სუსტია სტრუქტურულ ერთეულებს შორის კოორდინირებული მუშაობა, ადგილი აქვს ამ ერთეულების შორის ფუნქციების დუბლირებას (მაგალითად, დეკანატს, შეფასების და გამოცდების სამსახურის და სასწავლო პროცესის მონიტორინგის სამსახურებს შორის).

კერძოდ, პროექტის თანახმად გაიმიჯნა კომპეტენციები და გამოირიცხა ფუნქციების დუბლირება. იგეგმება „პრაქტიკის უზრუნველყოფის სამსახურის“ გაუქმება და მის ფუნქციებს მიმართულების სპეციფიკის გათვალისწინებით შეითავსებს ფაკულტეტები და ახლად ჩამოყალიბებული სტუდენტთა სერვისების და კარიერული მხარდაჭერის დეპარტამენტი. ეს უკანასკნელი ასევე შეითავსებს გაუქმებული კულტურისა და სპორტის სამსახურის ფუნქციებს. იგეგმება იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის შექმნა, რომელიც შეითავსებს გაუქმებული ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ფუნქციებს.



აგრეთვე იგეგმება მატერიალური რესურსების სამსახურის გაუქმება და მისი ფუნქციების შეთავსება საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტში.

თანამშრომლობით ურთიერთობას აკადემიაში კოორდინაციას უწევს რექტორის აპარატი. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიას გააჩნია პარტნიორული ურთიერთობები ათეულობით საერთაშორისო საგანმანათლებლო და სხვა ტიპის დაწესებულებებთან, მას არ აქვს სისტემატიზებული ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელიც მისცემდა საშუალებას თანმიმდევრულად და ორგანიზებულად განახორციელოს საერთაშორისო თანამშრომლობა.

აღწერილი ხარვეზის აღმოსაფხვრელად იგეგმება ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ჩამოყალიბება და საშტატო ნუსხაში ახალი პოზიციის დამატება - „პროექტების მართვის და საგანმანათლებლო ინტერნაციონალიზაციის მენეჯერი“.

ზემოაღნიშნულ მენეჯერს დაეკისრება შემდეგი ფუნქციები: აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა, აკადემიური და კვლევითი ხასიათის ინფორმაციის მოძიება, გავრცელება, საქმიანი მიმოწერა, აკადემიის პერსონალისა და სტუდენტების კონსულტირება, სააპლიკაციო მხარდაჭერა-დახმარება და იქნება ევროკომისიის საგანმანათლებლო პროექტების საკონტაქტო პირი.

სასწავლო პროცესზე დაკვირვების და ანალიზის შედეგად გამოვლინდა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ზედამხედველობის გაუმჯობესების აუცილებლობა. ამ მიზნით იგეგმება მაგისტრატურის სამსახურის ჩამოყალიბება. ახალი სამსახურების/სტრუქტურული ერთეულების ჩამოყალიბება იგეგმება შიდა რესურსების გამოყენებით.



5. მომხმარებელთა კმაყოფილების მაჩვენებელი

- 5.1. სპეციალური ანკეტა–კითხვარების შევსების გზით საზღვაო აკადემია ახორციელებს მომხმარებელთა კმაყოფილების მაჩვენებლების შეფასებას. საზღვაო აკადემიის მომხმარებლები არიან საზღვაო ინფრასტრუქტურის დაწესებულებები და სამსახურები, საზღვაო კრუინგული კომპანიები.
- 5.2. კითხვარები განთავსებულია საზღვაო აკადემიის ვებგვერდზე მისამართი: www.bsma.edu.ge. დაინტერესებულ პირებს დაეგზავნათ შეტყობინება გამოკითხვების დაწყების შესახებ.
- 5.3. აღნიშნული ეტაპისთვის გამოკითხვის პროცესი დასრულებულია და მომხმარებელთა კმაყოფილების მაჩვენებლების შედეგები განთავსებულია საზღვაო აკადემიის ვებგვერდზე.
- 5.4. დამუშავების პროცესშია მეზღვაურთა სასწავლო, საწრთვრთნელი და სერტიფიცირების ცენტრის მსმენელის კითხვარი -მომხმარებელთა კმაყოფილების მაჩვენებელთა პარამეტრები დადგენის პროცესში.
- 5.5. ჩატარებულია დამსაქმებლის გამოკითხვა, მათ შორის, კრუინგული კომპანიების გამოკითხვა.
- 5.6. შემუშავებულია აკადემიის თანამშრომლების გამოკითხვის კითხვარი და ჩატარებულია ონლაინ გამოკითხვა.
- 5.7. ყველა ზემოთაღნიშნული გამოკითხვები დასრულებულია და ხელმისაწვდომია აკადემიის ვებგვერდზე.



<i>№</i>	<i>გამოკითხვის დასახელება</i>	<i>ბმული</i>
1	კურსდამთავრებულთა გამოკითხვა	http://graduate.bsma.edu.ge/
2	კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები	http://employer.bsma.edu.ge/graduate.php
3	კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი/ სტატისტიკა	http://bsma.edu.ge/upload/Alumni.pdf
4	დამსაქმებელთა გამოკითხვა	http://employer.bsma.edu.ge/
5	დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები	http://employer.bsma.edu.ge/employer.php
6	დამსაქმებელთა გამოკითხვის სტატისტიკა	http://bsma.edu.ge/upload/Employers.pdf
7	აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგები	http://bsma.edu.ge/upload/Academic%20Staff.pdf
8	ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვის შედეგები	http://bsma.edu.ge/upload/Administrative%20Staff.pdf
9	სტუდენტთა ზოგადი გამოკითხვის შედეგების ანალიზი	http://bsma.edu.ge/upload/Students.pdf
10	პედაგოგთა შეფასება სტუდენტების მიერ	http://bsma.edu.ge/upload/Lecturers.pdf
11	სტუდენტების გამოკითხვის შედეგები- ბიბლიოთეკა	http://bsma.edu.ge/upload/Library-students.pdf
12	სტუდენტების გამოკითხვის შედეგები- მატერიალური რესურსი	http://bsma.edu.ge/upload/Material%20resources.pdf
13	სტუდენტთა სწავლების შედეგების ანალიზი 2015-2018 წწ.- ბიზნესის და მართვის ფაკულტეტი	http://bsma.edu.ge/upload/2015-2018%20Statistics-%20Business.pdf
14	სტუდენტთა სწავლების შედეგების ანალიზი 2015-2018 წწ.- საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტი	http://bsma.edu.ge/upload/2015-2018%20Statistics%20MF.pdf
15	გაცვლითი პროგრამით მყოფი სტუდენტების გამოკითხვის ანალიზი	http://bsma.edu.ge/upload/Abroad.pdf
16	მაგისტრანტების გამოკითხვის შედეგების ანალიზი	http://bsma.edu.ge/upload/Master%20survey.pdf



6. სისტემის გაუმჯობესება

6.1. პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება

პროცესების მართვის, დანერგილი და ფუნქციონირებადი ხარისხის სისტემის გაუმჯობესების, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის, სწავლების მეთოდოლოგიის გაუმჯობესების და პროცესების ადმინისტრირების კუთხით ჩატარდა აკადემიის პერსონალის მომზადება-გადამზადება: შესყიდვების, სასწავლო მეთოდოლოგიის, პროფესიული და ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით. საერთო ჯამში გადამზადდა 25 თანამშრომელი.

საქმიანობის გამართულად და ეფექტურად ფუნქციონირებისთვის 2017 წ. თებერვალში საზღვაო აკადემიაში დაინერგა ელექტრონული საქმისწარმოება, რომელმაც პილოტურ რეჟიმში იმუშავა 4 თვის განმავლობაში. ამ დროის მანძილზე საზღვაო აკადემიის პერსონალს 3 ეტაპად ჩაუტარდათ ტრენინგები. ტრენინგი ითვალისწინებდა ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის ადმინისტრირატორების/ოპერატორების (კანცელარიის თანამშრომლებისთვის) მომზადებას. დესის მომხმარებლის ტრენინგი ჩაუტარდა საზღვაო აკადემიის ყველა თანამშრომელს (ადმინისტრაციულ, აკადემიურ და დამხმარე პერსონალს).

ამასთანავე ათასწლეულის გამოწვევის ფონდი -საქართველოს (MCA-Georgia) პროექტის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“

(ISWD) პროფესიული განათლების განვითარების საგრანტო პროექტის ფარგლებში საერთაშორისო პარტნიორ Pearson -ის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებზე მომზადდა და გადამზადდა 50 პედაგოგიური და ადმინისტრაციული პერსონალი საერთაშორისო სააკრედიტაციო ორგანოს BTEC-ის მოთხოვნების შესაბამისად ახალი კვალიფიკაციების გარე და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, პროცესის ადმინისტრირების, სასწავლო პროცესის ორგანიზების, ამოცანების შემუშავების, ცოდნა/უნარების უზრუნველყოფის და შეფასების ტრენინგი.

2017 3-6 აპრილს საზღვაო აკადემიაში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ პროექტის პარტნიორი ორგანიზაციის Pearson Education Limited- ის ექსპერტები:ფილ მეიერსი-ტექნიკური პროფესიული კვალიფიკაციების პორტფოლიოს მენეჯერი და ედი კონორი-პროფესიული კვალიფიკაციების სპეციალისტი. ვიზიტის მიზანი იყო პარტნიორების პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტებისა და მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების ერთობლივი განხილვა-ანალიზი, შედეგების, საბოლოო რედაქციებისა და დასკვნების განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარსადგენად.



მეზღვაურთა სასწავლო, საწრთვნელ და სერტიფიცირების ცენტრში გადამზადდა 2 ინსტრუქტორი ელემენტარული პირველადი დახმარების, გულ-ფილტვთა რეანიმაციის/ დეფიბრილატორის ტრენინგის კურსებზე.

17-21 აპრილს მეზღვაურთა სასწავლო, საწრთვნელ და სერტიფიცირების ცენტრში ჩატარდა ტრენინგი "TRAIN THE SIMULATOR TRAINER AND ASSESSOR" (IMO Model Course 6.10). ტრენინგი, ინდონეზიიდან მოწვეულმა ინსტრუქტორმა, კაპიტან Peter Moeller, Professional Maritime Competence Centre PT PROMOCINDO-ს დირექტორმა ჩაატარა. აღნიშნულ ტრენინგი გაიარა 6 ინსტრუქტორმა, რომელიც სასწავლო პროცესში იყენებს სიმულატორებს.

2017 წ. ივლისში ორივე ფაკულტეტზე ჩატარდა აკადემიური პერსონალის არჩევნები. დღეისათვის აკადემიაში მოღვაწეობს 74 აკადემიური თანამდებობის პირი და დარგის სპეციალისტი.

6.2. სასწავლო რესურსების მოდერნიზაცია

განხორციელდა პროფესიულ მომზადების ცენტრისათვის გამოყოფილი ახალი სასწავლო ფართის რემონტი და გაიხსნა ორი სპეცკლასი: ამწის ოპერატორის და შედუღების. აგრეთვე, პროფესიული მომზადების ცენტრის სტუდენტებისთვის გაიხსნა თევზსაჭერი გემის სიმულატორული სასწავლო სივრცე.

ჩატარდა სამი ტრენინგი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პედაგოგებისათვის, რაც ითვალისწინებს პროფესიული მოდულური პროგრამების განხორციელებას.

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი -საქართველოს (MCA-Georgia) პროექტის პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის" (ISWD) პროფესიული განათლების განვითარების საგრანტო პროექტის ფარგლებში, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში დაინერგება 7 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, განახლდა მატერიალურ ტექნიკური ბაზა და სასწავლო ინვენტარი, გადამზადდა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი და სხვადასხვა მოდულური პროგრამების საფეხურის განმახორციელებელი სპეციალისტები. მომზადდა სპეციალისტები შემდეგი მიმართულებებით:

- თევზსაჭერი გემის ნავიგაცია (V საფეხური);
 - ამწის ოპერირება (III- IV საფეხური);
 - შედუღება (III- IV საფეხურები);
 - ლოჯისტიკისა და პორტის ოპერირება /მენეჯმენტი (IV-V საფეხური).
- აღნიშნული პროგრამები დამატებული იყო ავტორიზაციის გზით.



ამ პროგრამებს აგრეთვე აქვს საერთაშორისო აღიარება (BTEC). პირველადი ჩარიცხვა აღნიშნულ პროგრამებზე განხორციელდა 2017 წ. დეკემბერში. ამჟამად 7 ახალ მოდულურ პროფესიულ პროგრამაზე სწავლობს 99 პროფესიული სტუდენტი.

2017 წ. 21-24 აგვისტოს, პროექტის ფარგლებში დასრულდა ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - ამწის სიმულატორის ინსტალაცია და ჩაუტარდა წრთვნი პროგრამაში ჩართულ პედაგოგიურ პერსონალს, დარგის სპეციალისტებს და IT სამსახურს.

2017 წ. ნოემბერში პროექტის ფარგლებში დაინსტალირდა ახალი შემდუღების სიმულატორი და რეალური შედუღების დანადგარები და წრთვნი ჩაუტარდათ პროგრამაში ჩართულ პედაგოგიურ პერსონალს.

ბიზნესის და მართვის ფაკულტეტზე შემუშავდა 3 საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის 2 ბაკალავრიატის: ეკონომიკა-ტრანსპორტის ეკონომიკა და ფინანსები-საფინანსო საქმე და დაზღვევა ტრანსპორტზე; და 1 სამაგისტრო პროგრამა: საზღვაო ტურიზმის მენეჯმენტი. ყველა პროგრამამ მოიპოვა ნაციონალური აკრედიტაცია. 2017-2018 სასწავლო წლიდან აღნიშნულ საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხვა სტუდენტები და მიმდენარეობს სასწავლო პროცესი.

აგრეთვე მომზადდა და მაძიებლის სტატუსშია 4 სამაგისტრო პროგრამა: გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემები და დანადგარები; საპორტო ოპერაციების მართვა; ლოგისტიკა და ექსპედირება; საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი. ამჟამად ეს პროგრამები იმყოფება მაძიებლის სტატუსში.

2017 წ. 25 მაისს ტემპუსის პროგრამის 544326-TEMPUS-1-2013-1-AM-TEMPUS-SMGR ფარგლებში „ხარისხის ამაღლება და ტრანსნაციონალური განათლების აღიარება სასომხეთსა და საქართველოში“ (Promoting quality and recognition of transnational education in Armenia and Georgia) ჩატარდა ბიზნესის და მენეჯმენტის ფაკულტეტის ახალი სამაგისტრო პროგრამის „საზღვაო ტურიზმის მენეჯმენტის“ საერთაშორისო საპილოტო აკრედიტაცია, საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით.

2017 წლის ივლისში დამტკიცდა დარგობრივი მახასიათებლების სტანდარტი 3 საზღვაო სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამაზე (საზღვაო ნავიგაცია, გემის მექანიკა და გემის ელექტრომექანიკა). მიმდინარეობს ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება.

მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელი და სერტიფიცირების ცენტრში შემუშავდა 5 ახალი მოკლევადიანი საწრთვნელი პროგრამა:

- Basic Training for ships Operating in Polar Waters /გემის პოლარულ წყლებში ექსპლუატაციის გაცნობითი კურსი
- Advanced Training for ships Operating in Polar Waters / გემის პოლარულ წყლებში ექსპლუატაციის გაფართოებული კურსი



- Hydraulic system / Machinery course / ჰიდრავლიკური სისტემების / მექანიზმების კურსი
- Elementary First Aid, CPR/AED / ელემენტარული პირველადი დახმარება, გულ-ფილტვთა რეანიმაცია/ დეფიბრილატორი
- Mooring Operations / გემის მისაბმელი ოპერაციები

აგრეთვე შემუშავების სტადიაშია კიდევ ერთი მოკლევადიანი საწვრთნელი კურსი: Maritime Resource Management / საზღვაო რესურსების მართვა

მოქმედი მეზღვაურების ინგლისური ენის დონის ამაღლების მიზნით აკადემიაში ფუნქციონირებს მარლენსის (MARLINS) აღიარებული ტესტირების/სერტიფიცირების ცენტრი, სადაც აკადემიის თანამშრომელი-ტესტირების ადმინისტრატორი-ატარებს სასერტიფიკაციო გამოცდას.

მოქმედებაშია IMEC (International Maritime Employer's Council), კრუნგული კომპანიის (Columbia Ship Managements) და საზღვაო აკადემიის ერთობლივი პროექტი, რომლის მიზანს წარმოადგენს აღნიშნული კომპანიის მოქმედი მეზღვაურების საკონტაქტო ინგლისური ენის გაუმჯობესება და საზღვაო აკადემიის საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის მე-3 და მე-4 კურსის სტუდენტების საკომუნიკაციო ინგლისურის გაუმჯობესება.

2017 წლის მონაცემებით მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელი და სერტიფიცირების ცენტრში ჩატარებული საწვრთნელი კურსების საერთო რაოდენობა 848-ის ტოლია, მსმენელთა რიცხვი კი 9659 შეადგენს. 2016 წელთან შედარებით გამოიკვეთა ზრდის მაჩვენებელი, კერძოდ ჩატარებული მოკლევადიანი კურსების რაოდენობა გაიზარდა 2 %-ით და მსმენელების რაოდენობა გაიზარდა-9 %-ით.

6.3. საერთაშორისო აღიარება

6.3.1. BTEC (Business and Technology Educational Council)

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველოს (MCA-Georgia) პროექტის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ (ISWD) პროფესიული განათლების განვითარების საგრანტო პროექტის ფარგლებში, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრმა გაიარა აღიარების ორი ეტაპი და მიიღო BTEC-ის სერტიფიკატი, მას მიენიჭა უფლება განახორციელოს BTEC-ის მიერ აღიარებული სხვადასხვა საფეხურის (III-V) მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, როგორცაა თევზსაჭერი გემის ნავიგაცია, ამწის ოპერირება, შედუღება პორტების ლოგისტიკა და მენეჯმენტი.



საგანმანათლებლო პროგრამების, ჩარჩო დოკუმენტების და სტანტარტების შემუშავებაში გათვალისწინებულია ადგილობრივი შრომითი ბაზრის მოთხოვნები და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება.

მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დამატებული ავტორიზაციით გზით, რაც დასტურდება უმაღლესი საგანმანათლებლო ავტორიზაციის საბჭოს N17 გადაწყვეტილებით (2017 წ, 21 სექტემბერი).

6.3.2. ISO 9001:2015

საზღვაო აკადემიის საქმიანობის ISO 9001:2015 სტანდარტის შესაბამისობასთან დადგენის მიზნით 2017 წ. 21 აპრილს ჩატარდა სასერტიფიკაციო აუდიტი. 2017 წ. 25 მაისის გადაწყვეტილებით (N 16.0345.0216) საზღვაო აკადემიას მიენიჭა ISO 9001:2015 სისტემის შესაბამისობის სერტიფიკატი.

6.4. საერთაშორისო კავშირები

2017 წ. აპრილში ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორმა ირაკლი შარაბიძემ და სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო სამრეწველო პალატის თავმჯდომარის მოადგილემ თამაზ თურმანიძემ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი. მემორანდუმის ფარგლებში მხარეები აქტიურად ითანამშრომლებენ საერთო ინტერესებში შემავალი საკითხების კვლევაში და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში. ამ უკანასკნელის მიზანია მოეწყოს ერთობლივი ან მონაწილეობა მიიღონ ერთ-ერთი მხარის მიერ ორგანიზებულ სასწავლო-სამეცნიერო, სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში, სემინარებში, კონფერენციებსა და დისკუსიებში.

2017 წლის 5-9 მაისს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიამ უმასპინძლა უსაფრთხოებისა და გადარჩენის ტრენინგის საერთაშორისო ორგანიზაციის - "IASST"(The International Association for Safety and Survival Training) შეხვედრა/სემინარს. შეხვედრას ესწრებოდნენ როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო საზღვაო სფეროს წარმომადგენლები ამერიკიდან, ბრიტანეთიდან, ლიტვა ლატვიიდან, თურქეთიდან, ესტონეთიდან, რუმინეთიდან, აზერბაიჯანიდან.



2017 წლის 18 მაისს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ორგანიზებით, მილენიუმის ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველოს (MCA-Georgia) პროექტის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ (ISWD) საგრანტო პროექტის ფარგლებში გაიმართა ბიზნეს კონფერენცია თემაზე „მომავალს ვქმნით დღეს“. „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ წარმოადგენს ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველოს 16 მილიონი აშშ დოლარის პროექტს, რომელიც დაფინანსებულია ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერ, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული მეორე 140 მილიონი აშშ დოლარის კომპაქტის ფარგლებში.

2017 წლის 14 სექტემბერს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში ტემპუსის პროექტის ფარგლებში ჩატარდა საკოორდინაციო შეხვედრა და გაიმართა კონფერენცია თემაზე „საკრუიზო ტურიზმი და შავიზღვისპირეთში კომპეტენციათა ცენტრების განვითარება“. შეხვედრაში გერმანიის, სლოვაკეთის, იტალიის, ბულგარეთის, რუმინეთისა და უკრაინის პროფესორ მასწავლებლებთან ერთად ქართული უმაღლესი სასწავლებლების პროფესორები მონაწილეობდნენ.

2017 წლის 26-27 სექტემბერს ტემპუსის პროექტის ფარგლებში (TNE_QA) "Promoting quality and recognition of transnational education in Armenia and Georgia" სასომხეთის ამერიკულ უნივერსიტეტში მიწვეული იყო საზღვაო აკადემიის სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ნინო ყურუმუბაძე, ხარისხის სამსახურის უფროსი ლევან ჯაყელი და პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსის მოადგილე ირინა ინწკირველი. ჩატარდა კონფერენცია, რომელზეც საზღვაო აკადემიამ წარადგინა ჩატარებული სამუშაოს ანგარიში ტრანსნაციონალური განათლების უზრუნველყოფის და აკრედიტაციის ფარგლებში შემუშავებული პოლიტიკების, შეფასების კრიტერიუმების, შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების, ერთობლივი პროგრამის მომზადების და საპილოტო აკრედიტაციის შედეგების შესახებ.

2017 წლის 9-15 ოქტომბერს, ვარნაში, ბულგარეთი გაიმართა "IAMU"-ს (საერთაშორისო საზღვაო უნივერსიტეტების ასოციაცია) ყოველწლიური მე-18 გენერალური ასამბლეა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის დელეგაციამ. ყოველწლიური გენერალური ასამბლეა (AGA) აერთიანებს კონფერენციაში მონაწილე საზღვაო უნივერსიტეტების ექსპერტებსა და მათ ოფიციალურ წარმომადგენლებს, რათა



განიხილონ საზღვაო სფეროს მიღწევები დ დასახონ სამომავლო ტენდენციები საზღვაო განათლების, მეზღვაურთა გადამზადებისა თუ კვლევით სფეროში.

31 ოქტომბერს საზღვაო აკადემია მონაწილეობდა ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციაში-„პროფესიები მომავლისთვის“, რომელზეც წარადგინა პროექტის ფარგლებში შემუშავებული ახალი კვალიფიკაციები, საგანმანათლებლო პროგრამები.

2017 წლის ნოემბერს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა ბათუმის საზღვაო აკადემიის და კორეული კომპანია "Hyundai Glovis"-ის შორის საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტების საზღვაო პრაქტიკის უზრუნველყოფის თაობაზე.

2017 წ. ნოემბერში საზღვაო აკადემიის ხელმძღვანელობა სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა საუთჰემპტონის სოლენტის უნივერსიტეტში, სადაც საფუძველი ჩაეყარა ურთიერთთანამშრომლობას, რომელიც ითვალისწინებს 2018 წ. ახალი ერთობლივი ინგლისულენოვანი პროგრამის შემუშავებას, სასწავლო პროცესში ჩართული ადამიანური რესურსის მომზადება/გადამზადებას და მეთოდოლოგიების შემუშავებას.

2017 წ. ნოემბერში ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას გასაცნობი ვიზიტით ეწვია ანაკლიის განვითარების კონსორციუმის და ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის ტერმინალ-ოპერატორის, უმსხვილესი ამერიკული კომპანიის SSA Marine - ის წარმომადგენლები. 2018 წლის მარტში იგეგმება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება, რომელიც ითვალისწინებს ტერმინალის კადრების მომზადება/გადამზადებას.

6.5. შიდა საინფორმაციო პორტალი

შემუშავდა ახალი შიდა საინფორმაცია პორტალი, რომელზეც აიტვირთა აკადემიური პერსონალის, მოწვეული მასწავლებლების მიერ შემუშავებული სილაბუსები და პედაგოგებს ონლაინ რეჟიმში მიეცემათ საშუალება კორექტირება შეიტანონ სილაბუსებში. სისტემა სილაბუსის ძველი ვერსიის არქივირების საშუალებას იძლევა სისტემის ფუნქციონირების გამართულობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება IT სამსახურს, ხოლო პორტალის მონიტორინგს, ცვლილებების ცირკულარის დაგზავნას ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები.



6.6. ახალი და განახლებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია.

პროექტების სახით წარმოდგენილია შემდეგი შიდა მარეგულირებელი (ხარისხის, ფუნდამენტალური, ორგანიზაციული) დოკუმენტაცია:

პოლიტიკა ხარისხის სფეროში	ND 2-Q01	
მიზნები და ვალდებულებები ხარისხის სფეროში	ND 2-Q02	
ხარისხის სახელმძღვანელო	ND 2-Q03	
შიდა და გარე ნორმატიული დოკუმენტების ფონდი	ND 2-Q05-01	
ტერმინები, შემოკლებები და განმარტებები	ND 2-Q05-03	
მომსახურების მონიტორინგის პროცესის პროცედურა	ND 2-Q05-08	
შინაგანაწესი	ND 2-O02	
სენატის რეგლამენტი	ND 2-O03	
განვითარების სტრატეგიული გეგმა	ND 2-O06-01	
სამწლიანი სამოქმედო გეგმა	ND 2-O06-03	
საზღვაო აკადემიის სამწლიანი გეგმა	ND 2-O06-02	
პერსონალის მართვის პოლიტიკა და პერსონალის მართვის პროცედურა	ND 2-O09	
ელექტრონული საქმის წარმოების წესი	ND 2-O12-1	
დებულება დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ	ND 2-O16	
საზღვაო აკადემიის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა და ოფიციალური ვებგვერდის ადმინისტრირების წესი	ND 2-O22	
სასწავლო პროცესის მონიტორინგის ელექტრონული სისტემის წარმოების წესი	ND 2-O23	
ბიუჯეტის შემუშავების წესი	ND 2-O25	
სასწავლო პროცესის პროცედურა. საბაკალავრო სწავლების საფეხური	ND2-F04	
სასწავლო პროცესის პროცედურა. სამაგისტრო სწავლების საფეხური	ND2-F05	
გამოცდების ჩატარების და შეფასების პროცედურა	ND2-F06	
ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი	ND2-F08	
საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი	ND2-F09	
აკადემიური პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი და აკადემიური საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესი	ND 2-F15	



დღეისათვის განახლებულია /აქტუალიზირებულია შემდეგი შიდა ნორმატიული დოკუმენტები:

აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების აკადემიური დატვირთვისა და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წესი	ND 2-O15
აკადემიური წოდების მინიჭების წესი	ND 2-O18
ეთიკის კოდექსი	ND 2-O20
აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და წესი	ND 2-O21
განვითარების სტრატეგიული გეგმის შედგენის მეთოდოლოგია	ND 2-O24
სტუდენტთა რეგისტრაციის და მობილობის პროცედურა	ND2-F02

განახლების რეჟიმშია სამსახურების დებულებები და პერსონალის უფლება-მოვალეობები.

6.7. საბიბლიოთეკო ფონდის გაუმჯობესება

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი (ბეჭდური ფონდი) შეადგენს 44 230 ერთეული (ორმოცდაოთხი ათას ორასოცდათი). აქედან:

- 11 658 ერთეული (თერთმეტი ათას ექვსასორმოცდათვრამეტი) მხატვრული, შემეცნებითი და საცნობარო ლიტერატურა;
- 32 572 ერთეული (ოცდათორმეტი ათას ხუთას სამოცდათორმეტი) სასწავლო-სამეცნიერო

ლიტერატურა, რომელიც შესაბამისობაშია სილაბუსებში არსებულ ჩამონათვალთან;

- 175 ერთეული (ასოცდაორი) ელექტრონულ მატარებელზე (CD) (DVD) განთავსებული;

ბიბლიოთეკას გააჩნია ანბანური და თემატური კატალოგები, წარმოდგენილი მექანიკური და ელექტრონული ვარიანტების სახით;

საზღვაო აკადემიის ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს ელექტრონული ინტეგრირებული კატალოგი Evergreen MARC 21 ბაზაზე .



2018 წლის იანვრის მონაცემებით ბიბლიოთეკამ მიიღო 250 ერთეული წიგნი და 25 ერთეული დისკი.

7. ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შიდა აუდიტის შედეგები

შიდა აუდიტი ჩატარდა ძირითად და დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულებში, აკადემიურ დეპარტამენტებში და რიგ დამხმარე სტრუქტურულ ერთეულში. გამოცემულია აუდიტის ანგარიშები, რომლის საფუძველზე შემუშავებულია მაკორექტირებელი და პრევენციული ღონისძიებების გეგმები. მონიტორინგის რეჟიმში მოწმდება შესრულების ვადები.

8. ხარისხი მენეჯმენტის სისტემის გარე აუდიტის შედეგები

8.1. სასერტიფიკაციო ორგანო

სასერტიფიკაციო ორგანოს „რუსული რეგისტრი“-ის 19-21.04.2017-ში ჩატარებული აუდიტის შედეგად აღმოჩენილი იყო 2 უმნიშვნელო შეუსაბამობა (17.01301.310–17.01302.310 აქტები) და 1 რეკომენდაცია (17.01303.303).

შესრულების ვადები განისაზღვრება 19/05/2017 და 16/06/2017. გარე აუდიტის შედეგად მიღებული ანგარიშის საფუძველზე შემუშავდა და დამტკიცდა მაკორექტირებელი და პრევენციული ღონისძიებების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს 2 უმნიშვნელო შეუსაბამობის და მოცემული რეკომენდაციის გათვალისწინებას. დღეისათვის ყველა შეუსაბამობა აღმოფხვრილია და რეკომენდაცია გათვალისწინებულია.

8.2. მარეგულირებელი ორგანო

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ 19-21.06.2017-ში ჩატარებული აუდიტის შედეგად აღმოჩენილი იყო 2 შეუსაბამობა, ერთი შენიშვნა და 3 რეკომენდაცია. დღეისათვის დასრულებულია შეუსაბამობების შესრულების ნაწილი. სრული აღმოფხვრა და რეკომენდაციების გათვალისწინება დაგეგმილი 2018 წლის ივნისისთვის.



8.3. აკრედიტაციის ორგანო

ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის ფარგლებში პროფესიული მომზადების ცენტრში 2017 წლის მაისში ჩატარდა BTEC-ი სასერტიფიკაციო აუდიტი.

დღეისათვის შემუშავებულ 7 მოდულურ პროგრამიდან 6 პროგრამაზე პროფესიული ცენტრის მომზადების კურსდამთავრებულები ნაციონალურ დიპლომთან ერთად მიიღებენ საერთაშორისო დიპლომს.

9. ხარისხის სფეროში მიზნების შესრულების მაჩვენებელი

2017 წელს დასახული 10 მიზნიდან შესრულებულია მხოლოდ 7, 1 ნაწილობრივად და 2 არ შესრულდა, კერძოდ:

ინტერნაციონალიზაციის კუთხით:

1. „გლობალური გავლენის“ და „გლობალური ცოდნის“ პრინციპების დანერგვისა და პარტნიორული ურთიერთობების განვითარებისათვის ერთობლივი სასწავლო პროგრამებისა და კვლევითი პროექტების რაოდენობის 5%-ით გაზრდა

შესრულების მაჩვენებელი - არ განხორციელებულა, ამ ეტაპისთვის ჩატარდა მხოლოდ ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის პილოტური აკრედიტაცია საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით;

2. ინტელექტუალური, ინფრასტრუქტურული და ფინანსური რესურსების გაზიარების მიზნით პარტნიორ უნივერსიტეტების რაოდენობის 10%-ით გაზრდა;

შესრულების მაჩვენებელი - შესრულებულია ნაწილობრივ, ხელი მოეწერა 2 ახალ მემორანდუმს და შესრულების მაჩვენებელი არის მხოლოდ 8 %.

3. განათლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების მიზნით საერთაშორისო პროექტების რაოდენობა 3%-ით გაზრდა;

შესრულების მაჩვენებელი-შესრულებულია, საზღვაო აკადემია ჩართულია 2 ახალ პროექტში

(Erasmus+ capacity building SmaLog; Norwegian project – development of new e-base)

4. აკადემიური პერსონალის, სტუდენტების საერთაშორისო თანამშრომლობისა და მობილობის 10%-ით გაზრდა;



შესრულების მაჩვენებელი - შესრულებულია, საზღვაო აკადემიის სტუდენტები მობილობით სწავლობენ შეცინის და ნორვეგიის უნივერსიტეტებში (Erasmus+ Credit Mobility to Szczecin; Norwegian project)

5. უცხოელი სტუდენტების რაოდენობის გაორმაგება
შესრულების მაჩვენებელი - არ განხორციელებულა
6. უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული რეგიონალური და საერთაშორისო კონფერენციების რაოდენობის ორჯერ გაზრდა
შესრულების მაჩვენებელი - შესრულებულია, განხორციელებულია როგორც რეგიონალური ასევე საერთაშორისო კონფერენციები
7. საერთაშორისო ფონდებიდან მიღებული გრანტებისა და სხვა სახის დაფინანსების რაოდენობის ორჯერ გაზრდა;
შესრულების მაჩვენებელი - შესრულებულია, მილენიუმის პროგრამას დაემატა Erasmus cap building
საგანმანათლებლო პროგრამების და საწრთვენელი კურსების კუთხით:
8. ახალი საზღვაო და სანაოსნო სპეციალობების განვითარება
შესრულების მაჩვენებელი - შესრულებულია, შემუშავდა და ფუნქციონირებს 7 ახალი მოდულური პროფესიული პროგრამა, შემუშავებულია და დასამტკიცებლად არის წარდგენილი 4 ახალი სამსაგისტრო პროგრამა
9. უნივერსიტეტის სტატუსის/ავტორიზაციის მიღება და სადოქტორო პროგრამების შემუშავება;
შესრულების მაჩვენებელი - არ არის შესრულებული
10. მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელი და სერთიფიცირების ცენტრის და პროფესიული განათლების ცენტრის შესაძლებლობების გაზრდა.
შესრულებულია - შემუშავებულია და ხორციელდება 6 ახალი მოკლევადიანი საწრთვენელი კურსი.

10. რეკომენდაციები სისტემის სრულყოფისათვის

- 10.1. ხარისხი წარმოადგენს მუდმივად ცვალებად მდგომარეობას, რომელიც დაკავშირებულია პროდუქტთან, მომსახურებასთან, ადამიანებთან, პროცესებთან, ამიტომ სისტემის სრულყოფა მოიცავს ღონისძიებათა კომპლექსს, რომელიც შედეგად ეფექტურს გახდის ხარისხის



მენეჯმენტის სისტემის ყველა რგოლის მუშაობას.

- 10.2. ხელმძღვანელობის მხრიდან ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე დაისახა რეკომენდაციები სისტემის სრულყოფისათვის;
- 10.2.1. შემუშავდეს ხარისხის სახელმძღვანელოს ახალი რედაქცია ISO 9001:2015 მოთხოვნათა და ახალი სტრუქტურის გათვალისწინებით, მათ შორის ქართულენოვანი ვერსიაც;
- 10.2.2. გამოიყოს ადეკვატური მატერიალურ-ტექნიკური რესურსები სისტემის სრულყოფის სამუშაოების შესასრულებლად;
- 10.2.3. მოვიდეს ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი და 3 წლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც აგრეთვე გათვალისწინდეს გეგმის განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური რესურსები;
- 10.2.4. შემუშავდეს განახლებული საორგანიზაციო სტრუქტურის პროექტი
- 10.2.5. დასრულდეს თვითშეფასების ანგარიშის სამუშაო ვერსიის განხილვა
- 10.2.6. პროცესების ამსახველ პროცედურებში (ფუნდამენტალურ პროცედურებში) განისაზღვროს მათი შესრულების რისკები.

11. გავრცელების არე

1. დოკუმენტის ორიგინალი ინახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში;
2. დოკუმენტის ელექტრონული ვერსია (რომელიც წარმოადგენს დოკუმენტის საკონტროლო და აღრიცხულ ეგზემპლარს) განთავსებულია www.office.bsma.edu.ge
3. დოკუმენტის აღრიცხული ეგზემპლარის დაგზავნას აწარმოებს ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახური outlook-ით (სამუშაო ფოსტით) და დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემის მეშვეობით